საქართველოს სსრ 1933 წლის ბამბის ნათესების დამუშავების გეგმა

რაიონები	ბამბის ნათესების ფართობი ჰექტარებში	ბამბის ნათესების ფართობი %
ახმეტის	1.000	100
ბოდბის	1.000	100
ყვარლის	1.000	100
ლაგოდეხის	1.000	100
თელავის	1.000	100
სიღნაღის	1.000	100
გურჯაანის	1.000	100
ქვემო-ქართლის	1.000	100
ბოლნისის	1.000	100
გარე-კახეთის	1.000	100
ლანჩხუთის	1.000	100
ჩოხატაურის	1.000	100
ოზურგეთის	1.000	100
ჩხოროწყუს	1.000	100
ხობის	1.000	100
ზემო-სვანეთის	1.000	100
ცაგერის	1.000	100
ლენტეხის	1.000	100
ონის	1.000	100
ამბროლაურის	1.000	100
ჩოლურის	1.000	100
ბაბუშის	1.000	100
სენაკის	1.000	100
მარტვილის	1.000	100
ზუგდიდის	1.000	100
ქობულეთის	1.000	100
ხელვაჩაურის	1.000	100
ქედის	1.000	100
ქედა-ბათუმის	1.000	100
ხულოს

ჭყიბული-ჭიათურა-ალავერდი

მაღაროელთა სოციალისტური შეჯიბრება წარმატებით იმკლებს

ტყიბულში შეუდგენ აღებულ ვალდებულებათა განაღდებას

ტყიბულელებმა დაიწყეს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება

(ტყიბული, საკუთარ კო. რესპონდენტისაგან)

აპრილში ტყიბულის მაღაროების დავალებას შეადგენდა 26.000 ტონა ქვანახშირი. აღნიშნული დავალება ტყიბულის მაღაროებმა ვერ შეასრულეს. 26.000-ის ნაცვლათ გამოიღეს მხოლოთ 14.022 ტონა, რაც გეგმის 53,9 პროცენტს შეადგენს. ჩამორჩენა არის გასული წლის აპრილის თვესთან შედარებითაც. 1932 წლის აპრილში 20.000 ტონის მაგივრათ ამოღებული იქნა 14.834 ტონა, რაც დავალების 74,17 პროცენტს შეადგენდა.

ასეთი ჩამორჩენა უმთავრესათ უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ მუშა-ხელი წელს უფრო ნაკლები იყო, ვიდრე გასულ წელს, ასე მაგ. თუ 1932 წლის აპრილში მაღაროებში მუშაობდა 999 კაცი, წელს აპრილში მუშაობდა 815, გეგმით კი საჭირო იყო 1.444 კაცი.

გასულ წელთან შედარებით კარგი სურათი გვაქვს შრომის ნაყოფიერების დარგში. 1932 წ. აპრილში გეგმით თითეული მუშას უნდა გამოეღო 14 ტონა, ფაქტიურათ გამოღება უდრიდა 14,85 ტონას, ანუ გეგმის 106 პროცენტს. 1933 წლის აპრილში კი გეგმით გათვალისწინებული იყო თითოეული მუშის მიერ 13 ტონის ამოღება, ფაქტიურათ ამოღება 14,85 ტონიდან (1932 წლის აპრილი) **ავიდა 17,2 ტონამდე.**

მუშა - ხელის მოზიდვისათვის საჭირო მუშაობა დაკვრითი ტემპით მიმდინარეობს. ტყიბულის პარტრაიკომის დადგენილებით, მაისში ტყიბულის რაიონიდან მოზიდული უნდა იქნას 900 კაცი (ინდ. მშრომელი გლეხი და კოლმეურნე). ხელშეკრულებები უკვე დადებულია. მაღაროებში 6 მაისისათვის მოსული იყო 118 კაცი, ტყიბულის რაიონიდან დ. 100 კაცი რაიონჰესისა და დამთავრების პერიოდში მყოფ სხვა მშენებლობებიდან. მხოლოთ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაღაროების სამშართველოსთან არსებულ მუშა - ხელის შემგროვებელ აპარატმა გვიან გაშალა მუშაობა კოლმეურნეობებიდან მუშა - ხელის მოსაზიდათ, რამაც გამოიწვია დაგვიანება იმ კოლმეურნეებისა, რომლებსაც მუშაობა უკვე შეუდგენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას: კადრების მომზადებისა და უკუთ გამოყენების მიზნით მოეწყო ათისთავთა გადასამზადებელი კურსები, რომელზეც მეცადინეობს 60 კაცი. პრაქტიკულათ ტარდება მუშათა ინდივიდუალური მეურნეობების მოწყობის საკითხი და სხვ.

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და სახკომსაბჭოს 8 აპრილის დადგენილების პრაქტიკულათ გატარება და ამ დადგენილებასთან დაკავშირებით ტყიბულელების მიერ ნაკისრ ვალდებულებების უახლოეს დროში განხორციელება, მაისის თვეში მოგვცემს გადამწყვეტ გარდატეხას.

გ. მერკვილაძე.

გამოწვევას ვღებულობთ!

ასეთია ჭიათურის მაღარო ელების პასუხი ტყიბულის მუშების მოწოდებაზე

დონბასის ქვანახშირის მაღაროების მუშაობის ანალიზი, რომელიც მოგვცეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკამ და სახკომსაბჭომ თავის 8 აპრილის დადგენილებაში, **მთლიანათ და სავსებით შეეფერება ჭიათურის მარგანეცის მაღაროების მუშაობას.**

ამიტომ გასაგებია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული დადგენილების მტკიცედ გატარებას მარგანეცის მრეწველობაში. კანცელიარულ - ბიუროკრატული ხელმძღვანელობა, ტეხნიკური ძალების არა სწორად განაწილება, ხელმძღვანელი აპარატის გაბერილი შტატი, ფუნქციების ალრევა ბატონობს მარგანეცის მრეწველობაშიც. ამიტომაა ჩამორჩენები, ამიტომაა გარღვევები.

ტყიბულის მაღაროელების მიერ ჭიათურის სოცშეჯიბრებაში გამოწვევა კიდევ ერთი ტალღაა შრომის ენტუზიაზმის, ბოლშევიკური ნაბიჯია ჩამორჩენებიდან, საწარმოო-სეზონანსო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისაკენ. გამოწვევას ჭიათურის ყველა მუშა გამოეხმაურა. ყველგან დიდი ხალისით იხლეჩენ და ღებულობენ გამოწვევას, ყველა მუხლებს გულდასმით სწავლობენ.

პერევისის რაიონის მუშებმა თავის მხრივ მრავალი ახალი ვალდებულება წამოაყენეს, მათ შორის ყველაზე საგულისხმოა — **მიმდინარე წლის გეგმას შევასრულებთ ვადაზე, ადრე — 11 თვეში, შრომის ნაყოფიერებას ავწევთ 131 ფუთიდან 141 ფუთამდე, თვითღირებულებას შევამცირებთ 2 მან. და 15 კაპიკით თითეულ ტონაზე, გარეცხილი ქვის ხარისხს გავაუმჯობესებთ 1,5 პროცენტით, 2 პროცენტით შევამცირებთ დანაკარგებს, განვამტკიცებთ შრომის დისციპლინას, 2 დეკადის ვადაში ჩამოვაყალიბებთ ტეხნიკის დაუფლების წრეებს, იმ ანგარიშით, რომ ტეხნიკურ წრეებში ყველა მუშამ გაიაროს, სათანადო მომსახურებას გაუწევთ იმ კოლმეურნეობებს, რომლებიც ძმურად დაგვეხმარებიან მუშა-ხელის მოწოდების საქმეში.**

ასეთია პერევისის მუშების ვალდებულებანი;

გამოწვევა ყველა ქარხანა - მაღაროებში დამუშავდა. ამ დღეებში ტყიბულის მაღაროელებს გაეგზავნება ხელშეკრულება ახალი მუხლების დამატებით.

სოცშეჯიბრება უკვე გაიშალა, ჭიათურის ყველა მუშა აქტიურად იბრძვის გამარჯვებისათვის. იქმნება ნუშობის ნორმალური პირობები ძირითადში მაღაროები სამაგრი და, ასაღეთქებელი მასალით დაკმაყოფილებულია. 2 მაღარო (№ 11 და 4) დარჩა, რომელსაც მუშა - ხელი აკლია. დაწარჩენი უზრუნველყოფილია. სულ მალე დაიფარება ეს დანაკლისიც პარტპროფორგანიზაციების აქტიური მუშაობით.

ახლა უკვე გეგმების შესრულებისათვის ყველა პირობა არსებობს. გეგმები აუცილებლად უნდა შესრულდეს. მიმდინარე წელში 800.000 ტონა მარგანეცის ამოღება და წარსულის დავალიანების დაფარვა, — ასეთია ჭიათურის მაღაროელების საბრძოლო ამოცანა.

რ. ფალავანდიშვილი.

პრესის მიმოხილვა

მოძღვარი ფაქტების რეგისტრატორი

„ჭიათურის მაღაროელი“

გაიზარდა მოთხოვნილება მარგანეცზე. სოციალისტური ინდუსტრია დღითი - დღე მეტის რაოდენობით მოითხოვს მას. ჭიათურის მაღაროები მოწოდებულია დააკმაყოფილოს ეს და საექსპორტო მოთხოვნილება. წელს ჭიათურამ უნდა მოგვცეს 800.000 ტონა მარგანეცი.

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მარგანეცის მრეწველობის ხელმძღვანელობამ შესძლოს ამ გეგმის შესრულება.

ქვემოდ მოყვანილი რამოდენიმე ციფრი გვიჩვენებს, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ: პირველი კვარტალის საწარმოო დავალება ჭიათურის მაღაროებმა 49,1 პროც. შეასრულა, ხოლო აპრილის გეგმა (ამოღების დარგში) 57,2 პროც.

„ჩამორჩენის მთავარი მიზეზია — ტრესტის სამმართველოს არა ოპერატიული მუშაობა. ტრესტის სამმართველო სათანადოდ ვერ უძღვება, ვერ თაოსნობს მაღაროელთა ენტუზიაზმს; ზოგიერთი ამხანაგი სამმართველოდან მოკალათებულია კანცელარიაში და „თვითკმაყოფილების გრძნობით კალამს აწრაპინებს“.

ასე წერდა გაზ. „ჭიათურის მაღაროელი“ ჯერ კიდევ 28 იანვარს, აჯამებდა რა ორი დეკადის შედეგებს.

მას შემდეგ კარგა ხანმა განვლო. მარგანტრესტში იგივე ადამიანები დარჩენ, კვლავ კაბინეტში ისხდენ და კალამსაც ისევ „აწრიპინებდენ“; გეგმები კი არ სრულდებოდა.

რას აკეთებდა ამ დროს „ჭიათურის მაღაროელი“, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ბრძოლა მარგანეცისათვის? თითქმის ერთი თვის განმავლობაში (28 იანვრიდან 24 თებერვლამდე) გაზეთიდან ვერ გაიგებთ, თუ რა მდგომარეობაა მარგანეცის ფრონტზე. „ჭ. მ.“ ამ ხნის განმავლობაში კრინტსაც არ ძრავს აღნიშნულ საკითხზე.

24 თებერვლის ნომერში მოთავსებულია **ათ სტრიქონიანი ინფორმაცია** თებერვლის პირველი ორი დეკადის შედეგების შესახებ.

როგორც ვხედავ აღნიშნეთ, პირველმა კვარტალმა სავალალო შედეგები მოგვცა. როგორი დასკვნა გამოიყვანა აქედან „ჭიათურის მაღაროელმა“? სამწუხაროდ, არა ისეთი, როგორიც მოეთხოვებოდა.

„№ 4 ბრიგადამ (რგანის საწ. უბანში. რედ.) გეგმა შეასრულა 127,5 პროცენტით — ხელმძღვანელი ბაზღაძე. № 2 ბრიგადამ მარტისთვის გეგმა შეასრულა 110 პროცენტით — ხელმძღვანელი გერონტი ჭილაძე, სერგო გაფრინდაშვილის ბრიგადამ გამოღების გეგმა 104 პროც. შეასრულა № 1 ბრიგადამ ბიძგორ თაბაგარის ხელმძღვანელობით გეგმა 110 პროც. შეასრულა“.

გაზეთი აქვე ჩამოთვლის მთელ რიგ ბრიგადებს, რომლებიც სამარცხვინოდ ჩამორჩენ. და ამით თავდება ყველაფერი. **როგორ მიაღწიეს გამარჯვებას ჩამოთვლილმა ბრიგადებმა, რა პირობებმა შეუწყო მათ ხელი, კონკრეტულად ვინაა სახელოვანი გამარჯვების ავტორი, როგორ მუშაობენ ეს ბრიგადები; ან, რატომ ჩამორჩენ სხვები, ვინაა ამაში კონკრეტული დამნაშავე — აი, საკითხები, რომლებიც ბუნებრივად ისმება და, რომლებზედაც პასუხს ვერ მიიღებს „ჭიათურის მაღაროელი“-ს მკითხველი.**

გაზეთი ახლენს მომხდარი ფაქტების უბრალო რეგისტრაციას, აღნიშნავს ჩატარებულ მუშაობას, მაგრამ არ უკეთებს მას სერიოზულ **ანალიზს,** არ უჩვენებს იმ გზებს და საშუალებებს, რომლითაც მიიწეულია ესა თუ ის გამარჯვება.

მაღაროებს არ ყოფნის მუშა-ხელი, არ აქვს ბიგები, ასფეთქებელი მასალები და სხვ. გაზეთი არ ამხვილებს ყურადღებას ამ საკითხებზე. არ ეხმარება ადგილობრივ ორგანიზაციებს კონკრეტული მეზობლების დამყარებაში მდინარე ოკაზე. აგებულია რკინის თაღებიანი ხიდი, რომელიც ყველაზე დიდია ამჟამად საბჭოთა კავშირში არსებულ ხიდებთან შედარებით. ხიდს აქვს ექვსი თაღი.

უდიდესმა ხიდმა გადაებერა მდინარე ოკას და ქალაქ გორკის ცენტრალური ბაღნარი შეუერთა იმის სამრეწველო რაიონებს.

ხიდის მშენებლობა დაიწყო 1929 წელში. ამ დროს გორკში ფაროთლ ომსებოლი სამრეწველო მშენებლობა: ავტო-ქარხანა, „ახალი სორმოვო“, „ნეფტეგაზი“ და სხვა მსგავსი წარმოებები.

უდიდესი პროლეტარული ცენტრი და მისი ნაბეგარი მილიონი მოსახლეობა ვერ ურიგდებოდენ უძველეს ხიდს. 1929 წლის 20 მაისს რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა: „ვინაიდან ნიჟნი-ნოვგოროდს განსაკუთრებული ეკონომიური ნიშვნელობა აქვს, დაწყებულ იქნას შენდობი ხიდის მშენებლობა ნიჟნი-ნოვგოროდში და მისი დამთავრების ვადათ დაწესებულ იქნას 1933 წელი“

1930—31 წლის ზამთარი. ყინვა აღწევს 30 გრადუსამდე. ეს ვერ აჩერებს მშენებლობის დაჩქარებას. გამუდმებით ქშინავენ კომპრესორები, ანათებენ სანათურები. ელექტროსის ლამფები აშუქებენ თანაში ამოსხრილ ფიგურებს, რომლებიც განუწყვეტლივ ასხამენ ცემენტს.

მშენებლები იბრძოდენ პირველობისათვის, ვინ, რომელი ბრიგადა, რომელი ცალი უფრო მეტ ცემენტს ჩაასხამს. და ცალკე ბრიგადები ხიდის მშენებლობის მძაფრ პირობებში შრომის ენტუზიაზმის ბრწყინვალე ნიმუშებს იძლევიდენ.

1932 წლის გაზაფხული. წყალზე ადიმართა ბჯენები. წინ ხიდის მესამე ბჯე. აქ მუშაობას ხელმძღვანელობს ინჟენერი ბაბეშკინი. დამკვირვებლად მუშაობს მეხტონეთა ბრიგადა შელუდიაკოვის ხელმძღვანელობით.

1932 წლის ზაფხული. სწარმოებს რკინის ბეტონების შეკვრა.

პირველ ბჯეს საუფაველი ჩაეყარა 1930 წელში. ერთი წლის შემდეგ დამთავრებული იქნა ყველა ბჯეები, დაბოლოს, 1932 წლის ივნისში დაიწყო შეკვრა. დამკვირვებლობა არ წყვეტდენ მუშაობას 40 გრადუსიან ყინვაშიც. ხაუკეთესო არიან უკეთესთა შორის მშენებლობის უფროსი პალუბინსკი, ინჟენერები — ანტროპოვი, და პეტროვი, დამკვირვებელი — ეფრემიჩევი, ცარევა და ხრამცოვა.

ყურადღება მშენებლობისადმი იმდენად დიდი იყო, რომ თითქმის ყოველდღე აქ მაბაათობის წესით მუშაობდნენ ასეული მუშები, წითელარმიელები და სტუდენტები.

ხიდის პროექტი დამუშავებულია პროფესორ შუხოვის და ასაგებად საბჭოთა ინჟენერების: კაშენცევის და კრილოვის მიერ. პროექტი დიდ ტეხნიკურ ინტერესს წარმოადგენს, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ ხიდის ასაგებ ადგილს, ნაპირების სხვადასხვა ჰორიზონტს, ნიადაგში თაბაშირის არსებობას და სხვა.

მსხვილი ინდუსტრიალური ცენტრის ორი ბაღნარი შეერთებულია და ეს გააკეთეს ბოლშევიკებმა ოთხ წელში. ხიდს ეწოდა ს. ი. პაპაზოგლოს სახელი.

ამჟამად ოკის ხიდის დამკვრელი ბრიგადები მთელი შემადგენლობით გადავიდნენ ვოლგის ხიდის მშენებლობაზე ქალაქ გორკში

ალავერდის მუშათა დელეგაცია ტყიბულში

ტყიბული, 12 მაისი. (სპეც. კორ.). ტყიბულის მუშებმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს ალავერდისა და ჭიათურის მაღაროელები. ამასთან დაკავშირებით აიღეს ვალდებულება, რომ უახლოეს ხანში გამოახურხენ გარღვევებს ქვანახშირის ამოღებაში და ჩადგებიან მოწინავე მაღაროების რიგებში.

ამჟამად ტყიბულში იმყოფება ალავერდის მუშათა დელეგაცია, რომელიც ჩამოვიდა 10 მაისს. დელეგაციის მიზანია გააფორმოს სოცშეჯიბრების ხელშეკრულება. ჩამოსულ ამხანაგებს შორის არიან: დირექციიდან — ბაბამუდოვი, ლენინის სახ. მაღაროების პარტკომის მდივანი — პეტროსიანი და საუკეთესო დამკვრელი, ალავერდელი ინოტოვი — მათე ბათმანოვი. ამხ. ბათმანოვმა განაცხადა, რომ ალავერდის მუშები დიდი ენტუზიაზმით შეხვდენ ტყიბულელების გამოწვევას.

კ. შერკოზია.

რიონკავში

ქუთაისი, 12 მაისი. (საკ. კორ.). რიონჰესის მშენებლობაზე ამჟამად „ვიწრო ადგილს“ გვირაბი № 3 წარმოადგენს. 20 აპრილიდან მიმდინარე ობს მუშაობა შებრუნებული თავიდან. დარჩა გამოსატეხი 8347 კუბომეტრი, ხოლო დასაბეტონებელი 6961 კვ. მეტრი. მთელი ამ მუშაობის 20 მაისისათვის დასამთავრებლად გამოანგარიშებულია 18.138 კაც-დღე. გვირაბში მომუშავეთა რაოდენობას შეუძლია მოგვცეს 14.809 კაც-დღე. დანაკლისი დიდია, იგი უდრის დღეში 200-დე მუშას. ეს მდგომარეობა გამოიწვევს გვირაბის დამთავრების ვადის გადაწევას. უკვე სამ კვირაზე მეტია აქ ლაპარაკია მუშა - ხელის სწვა მეორე ხარისხოვან ობიექტებიდან გადმოსროლაზე, მაგრამ პრაქტიკულად ჯერ არაფერი გაკეთებულა; იმის გამო, რომ არა დამაკმაყოფილებლად მუშაობენ სახკვების სახადილოები, მუშათა შორის გაცდენებს და დენადობას საკმაო დიდი ადგილი უკავია. მაგ. აპრილში მშენებლობაზე მოვიდა 114 კაცი, წავიდა კი 126. გაცდენები უდრიდა 12—13 პროც.

სადერივაციო არხზე ბეტონის მუშაობები თითქმის დამთავრებულია. ამჟამად მიმდინარეობს ძირის გაწმენდა — გასუფთავება ჩაცვენილ მიწისაგან. ორი დღის შემდეგ აქედან განთავისუფლდება 70-დე მუშა, სჭირია მათი დაუყონებლივ გადასროლა გვირაბის ჩამორჩენილ შტრეკებში.

7 და 8 მაისს № 3 გვირაბში და, არხზე შეფერხდა მუშაობა კასპის ქარხნიდან ცემენტის მიუღებლობის ნაადგზე. გვირაბის კომკვირის დამკვრელმა ბრიგადებმა სასწრაფოდ მოწვეულ მიტინგზე გაუგზავნეს მომართვა ცემენტის ქარხნის და ა.-კავკასიის რკინის გზის ორგანიზაციებს, სადაც აღნიშნულია: „29 აპრილს თქვენი ქარხნიდან გადმოგზავნილი 20 ვაგონ ცემენტიდან 6 მაისს მივიღეთ მხოლოდ 9 ვაგონი. დანარჩენი ვაგონები, როგორც გავიგეთ, მოქცულია ზესტაფონის და ხაშურის სადგურების ჩიხში. ასეთი მდგომარეობა საფრთხეს უმზადებს ჩვენს მუშაობას; ჩვენ აქ თავგამოდებით ვიბრძვით მიღებულ ვალდებულებათა მტკიცეთ განაღდებისათვის, ამ დროს კი გვაკლია ცემენტი გავცდით მაისის პირველ დეკადაში 2 დღე. მოვითხოვთ თქვენგან აქტიურ დახმარებას, მოგვცეთ დაუბრკოლებლივ ცემენტი და ჩვენც ვიძლევით სიტყვას, ბოლშევიკურად შევასრულოთ აღებული ვალდებულებანი“.

ვ. ლ—ი.

საბჭოთა კავშირში ხიდი მდ. ოკაზე



ვიბრძოლოთ სწავლების მაღალი ხარისხისათვის

პარტიული თათბირი ტექნიკუმების მუშაობის შესახებ

საქ. განათლების სახალხო კომისრის ამხ. ერ. ბედიას მოხსენება

11 მაისს საღამოს 8 საათზე განათლების მუშაკთა სახლში, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კულტპროპაგანყოფილების გამგის ამხ. იმედაძის თავმჯდომარეობით გაიხსნა პარტიული თათბირი ტექნიკუმების მუშაობის შესახებ.

თათბირზე, ტექნიკუმების მუშაობის ამოცანების შესახებ საკ. ცკის 1932 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა საქ. განათლების სახალხო კომისარმა ამხ. ერ. ბედიამ.

— ამხანაგებო კადრების მომზადება პარტიის და ხელისუფლების წინაშე დგას, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანის საკითხი, ამბ. სტალინმა ეს საკითხი დააყენა როგორც გადამწყვეტ საკითხთაგანი რეკონსტრუქციის პერიოდისათვის, ამბ. სტალინმა სამეურნეო მუშაკთა თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნავდა ჩვენ, „მუშათა კლასმა უნდა შექმნას თავისი საკუთარი საწარმოო ტექნიკური ინტელიგენცია, რომელსაც შეეძლება დაიცვას მისი, როგორც გაბატონებული კლასის ინტერესები წარმოებაში“.

ბელადის ამ მითითების საფუძველზე გავშალეთ ბრძოლა იმ მიზნით, რომ შეგვეძინა საკუთარი საწარმოო ტექნიკური ინტელიგენცია.

დღეს ჩვენ კადრების მომზადების დარგში საგრძნობი მილწევები გვაქვს. ჩვენ გარდაქმნილ მენიო სკოლებში მუშაობა საქ. კ.პ. (ბ) ცკ-ის 25 აგვისტოს და საქ. ცკ-ის 19 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე. მოეწყო სწავლებაში კოლექტივიზმი და სტახანოვიზმი, სწავლება დაუკავშირეთ საწარმოებს.

ამჟამად მე კიდევ მინდა ვილაპარაკო ტექნიკუმების მუშაობის შესახებ. საბჭოთა კავშირში 1928 წელთან შედარებით ტექნიკუმების რიცხვი 4 ნახევარჯერ გაიზარდა, სამართალში კი ამჟამად 162 ტექნიკუმია. მილწევებია არა მარტო რიცხობრივ მაჩვენებლებში, არამედ ხარისხობრივ მაჩვენებლებშიც. მაგრამ ტექნიკუმებში სწავლების ხარისხი მაინც არ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელსაც გვიყენებს მეორე ხუთწლედის — უკლასო სოციალისტური საზოგადოების აგების, ხუთწლედის ამოცანები.

ცენტრალურ სამბრძოლო ამოცანას, ჩვენი მუშათის ძირითად რგოლს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას წარმოადგენს. ამ მიზნით ჩვენ ლიკვიდაცია ვუყავით წვრილ ტექნიკუმებს და მათ ხარჯზე დავამსხვილეთ სხვა ტექნიკუმები. განვამტკიცეთ ისინი საპირო კვალიფიკაციის სპეციალისტებით. თუ გვქონდა 162 ტექნიკუმი, ამჟამად გვაქვს 132. ზოგიერთი ტექნიკ-მა გატაცებული იყო, რაც შეიძლება მეტი სპეციალობა მიეცა მოწაფისათვის. მოწაფე ყველაფერს, სწავლობდა და სინამდვილეში კი საგნებზე ნაკლები წარმოდგენა ჰქონდა. ეს ჩვენ მოვსპეთ ტექნიკუმებში, მაგალითად ამბ. ენუქიძის სახ. ინდუსტრიალურ ტექნიკუმში ასწავლიდნენ 21 სპეციალობას, ეს ჩვენ დავიყვანეთ 15-მდე. ასევე მოხდა სხვა ტექნიკუმებში.

შემდეგ ამხ. ბედია ჩერდება ტექნიკუმებში სასწავლო პროგრამების და გეგმების საკითხებზე და აღნიშნავს: ცკ-ის დადგენილებაში ყოველმხრივადაა აღნიშნული ის დეფექტები, რომელიც ამ დარგში სასწრაფოდ უნდა გამოვასწოროთქვა, დადგენილებამდე არსებული სასწავლო გეგმები და პროგრამები არ იყო მტკიცე. პროგრამებში არ იყო მოცემული ის, რაც უზრუნველყოფდა მოწაფის საჭირო ცოდნას ამა თუ იმ სპეციალობაში.

პროგრამების შედგენის საქმეში არ გვაქვს დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. ტექნიკუმებში ჯერ კიდევ არ არის ახალი პროგრამები. ზოგიერთი ტექნიკუმში წლიური საწარმოო პროგრამა არ აქვთ.

ჩვენი უახლოესი ამოცანაა ამბობს ამხ. ბედია შეიქმნათ სტაბილური სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები, რომლებიც რამდენიმე წლის განმავლობაში გამოადგებათ ტექნიკუმებს, ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადასაჭრელად უნდა ავამოძრავოთ განათლების ფრონტზე მთელი ძალები. პირველ რიგში კომუნისტები და კომკავშირელები.

სწავლების მეთოდის შესახებ ამხ. ბედია განაცხადა, რომ სკკ. (ბ) ცკ-ის და სკკ. ცკ-ის დადგენილების მიხედვით სკოლებში სწავლების ლაბორატორიულ-ბრიგადული მეთოდი, როგორც უნივერსალური მეთოდი ხმარებიდან უნდა გავიდეს და სწავლის პროცესი უნდა მოვაწყოთ ის ანგარიშით, რომ უზრუნველყოთ გაკეთილის ჩატარება ყველა აქტიურ მეთოდების გამოყენებით.

ზოგიერთ შემთხვევაში (უმაღლეს კურსზე) უნდა გამოვიყენოთ ლექციური მეთოდიც.

ზოგიერთებმა ეს ისე გაიგეს, თითქოს სწავლების ლაბორატორიული მეთოდი სავსებით უკუდგებული და გადავიდეს ლექციურ სწავლებაზე. ლექციური მეთოდის გამოყენებამ ზოგიერთ ტექნიკუმში უარყოფითი შედეგი გამოიღო. შესაძლებელი ტექნიკუმში გამოცდილი, წაკითხავს ხუთ-ექვს ლექციას და ისევ მიდის და წაკითხავს ლექციას და მას ჩაწერიდეს მოწაფეებს, ამით ამოწურავს ყველაფერს. ახალი სწავლების მეთოდი, რომელიც მასწავლებლის ცოცხალი ხიტყვის ზემოქმედება მოწაფეზე ცუდათ არის გამოყენებული ძირითად უნდა აღმოიფხვრას.

ყველა განათლების მუშაკმა ერთხელ და სამუდამოთ უნდა გაიგოს, რომ სწავლებაში მხოლოდ ერთ მეთოდს არ ვიყენებთ. საჭიროა ყველა აქტიური მეთოდის გამოყენება. თითოეულ საგანს აქვს თავისებურება. სწავლების დროს ეს თავისებურება უნდა გავითვალისწინოთ

პედაგოგიურ მუშაობაში, როგორც ამბ. ბედია აშბობს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რეჟიმს. ზოგიერთ ტექნიკუმში არ წარმოებს მოწაფის წარმატებების ხელით აღრიცხვა. მაგ. მესაქონლეობის და მიწათმოწყობის ტექნიკუმებში. აქ მასწავლებლის გაწევრებების თანახმად პოლიტ-ეკონომიაში ყველანი დამაკმაყოფილებლად სწავლობენ, განსაკუთრებულ წარმატებას არც ერთი არ იჩენს, რადგან როგორც ამ საგნიც მასწავლებელი აშბობს ამ ყველა კომკავშირელია და მაშასადამე ყველა კომკავშირელმა ერთნაირად იცის პოლიტეკონომია.

დასასრულ ამხ. ბედია აღნიშნავს, რომ სწავლების მაღალი ხარისხისათვის ბრძოლაში კომუნისტმა და კომკავშირელ მასწავლებლებმა მოწინავე პოზიციები უნდა დაიკავონ. უნდა გაეძლიერთ პარტიული ხელმძღვანელობა სკოლებზე და მიეღწიოთ საკავშირო ცკ-ის 19 სექტემბრის დადგენილებების უნაკლოდ შესრულებას.

ტექნიკუმებში სასწავლო და პოლიტიკური-აღზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა

ამხ. პ. აფხაძის მოხსენება

მომხსენებელი ფართოდ ეხება ტექნიკუმებში სასწავლო გეგმებისა და პროგრამების მდგომარეობას.

ამ საქმეში—აღნიშნავს ამხ. აფხაძე ინტენსიური მუშაობა ჩაატარა ამხ. ენუქიძის სახ. ინდუსტრიალურმა ტექნიკუმმა. ამ უმაღლესმა სასწავლებელმა შეიმუშავებს ახალი პროგრამები, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ არიან სტაბილურნი.

შემდეგ მოხსენებელი ამბობს, რომ ტექნიკუმებში გაკეთილების განრიგების მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მარქსისტულ-ლენინური პედაგოგიკის. სამწუხაროდ ამ საქმეს, ზოგიერთი ტექნიკუმი ყურადღებას არ აქცევდა. ლენინის სახ. ინდუსტრიალურ ტექნიკუმში მეორე კურსის ერთ ჯგუფში საგანი—მანქანათა ნაწილები სამ გაკეთილზე განაწილებულ იყო ისე, მესამე კურსზე ოთხ გაკეთილი. მოწაფე ამ შემთხვევაში ძალიან ცოტა ცოდნას იღებს ამ საგანში. ზოგიერთ ტექნიკუმში ტექნიკურის პირველ დღეებში უფრო ნაკლები გაკეთილებია, ვიდრე ბოლო დღეებში. მაგ. სტალინ ტექნიკუმში ექვსდღიანის პირველ და მეორე დღეს 5 გაკეთილია. შემდეგ დღეებში გაკეთილის რიცხვი უფრო ბევრია.

დასასრულ ამხ. აფხაძე ლაპარაკობს ტექნიკუმებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის შესახებ. გადაჭრით უნდა ითქვას, ამბობს ამხ. აფხაძე, რომ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა უმეტესი ტექნიკუმებში არ არის დაყენებული ისე, როგორც ამას მოითხოვს პარტია და ხელისუფლება.

სუსტია დისციპლინა. თუ ჩვენ სკოლებში მეორე და მესამე კვარტალის განმავლობაში, ე. ი. ზაფხულის პერიოდში თბილისს დასჭირდება 12 მილიონი ლიტრი ულაყობრივი სამყლეში (ლიმონათი, სიტრო, ბორჯომის წყალი) და ღვინო. სამყლეების აღნიშნული რაოდენობა საკმაო იქნება, როგორც საზაფხულო ბაღების, მუშათა კლუბების, ისე სასადილოებისა და ღია სავაჭრო ქსელის მოსამარაგებლათ.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ყველა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ამზადებენ სამყლეებს დანარჩენი რაოდენობის დამზადება დაეკისრათ — წით. ჯვარს, თბილისის საზკავშირს, ტრესტს, ინვალიდთა კოოპერაციას და სხვადასხვა არტელებს.

სამყლეთა წყლებით მოსახლეობის უზრუნველსაყოფად, გადაწყვეტილია გაფართოებული იქნას სამყლეთა წყლების გასასყიდი ქსელი.

ქრონიკა

„სალიტერატურო გაზეთი“

გამოვიდა „სალიტერატურო გაზეთი“ № 11, ეს №-რი შეიცავს 6 გკერდს.

ონჯღონიკიძის რაიონში (თბილისი) შენდება 80 ბინიანი სახლი ა.-კ. სახ. პოლიტ-სამმარ. თველოს სააღშენებლო ბიუროს მუშებისათვის

მუშათა დასვენების კომბინატი მცხეთაში

როგორ მიმდინარეობს მშენებლობა

უკვე ერთ თვეზე მეტია, რაც დაიწყეს მუშათა დასვენების კომბინატის მშენებლობა მცხეთაში. წელს 20 ივნისისათვის კომბინატის მშენებლობის პირველი რიგის—სამუშაოები უნდა დამთავრდეს და კომბინატმა უნდა მიიღოს დასვენებელთა ჯგუფები. მეორე რიგის სამუშაოები უნდა გაგრძელდეს და 1934 წლის ზაფხულისთვის კომბინატი სავსებით მზად უნდა იქნეს.

მშენებლობის დასაწყებათ საჭიროა საღ მშენებლო მასალის დამზადება სწარმოებდა მარტადინე ამჟამად მშენებლობა სავსებით უზრუნველყოფილია ძირითადი და დამხმარე საღმშენებლო მასალით. პირველი რიგის სამუშაოების შესასრულებლათ მშენებლობა უზრუნველყოფილია აგრეთვე პროექტებით და ცალკე ნაგებობათა ნახაზებით.

დაწყებულია ბაღის გაშენება 200 ჰექტარზე. სწარმოებს ხეების დარგვა, ყვავილნარების გაშენება, სატენისო გზების გაყვანა, კარების მოწყობა და სხვ. დაწყებულია აგრეთვე ფიზკულტურის მოედნის მოწყობა, ჩაეყრება საფუძველი იახტ-კლუბის შენობას და სხვ.

რკინის გზის სადგურის წინ ეწყობა მაღაზია მუშაობის მოედანი. აღნიშნული მოედან-შორეული იქნება ისე, რომ იგი შესაფერისი იქნეს ყოველი სახის მასიური მუშაობისათვის (მასიური საუბრები, მიტინგები. ხალხური ცეკვა და სხვ.).

15 მაისიდან იწყება თიატრის შენობის აგება. რაც უნდა დამთავრდეს მაისის ბოლოსთვის. თიატრის შენობაში ექნება სცენა და ეკრანი. ჩამორჩენას აქვს ადგილი ტურისტული ბანაკის მოწყობისა და დასასვენებელი სახლების შეკეთების საქმეში.

ტურისტული ბანაკის მოსაწყობად, ჯერ ტეხნიკური პროექტიც კი არაა შედგენილი. არ არის აგრეთვე ზუსტად შერჩეული საღმშენებლო მიწის ნაკვეთი. ყოფ. დასვენებელი სახლები, რომლებიც სოციალზღვევის კომიტეტს გადაეცა, საჭიროებენ კაპიტალურ რემონტს, რაც აქამდე უნდა დაეწყო სოციალზღვევის კომიტეტს. თუ სოციალზღვევის კომიტეტმა ასეთი ტემპებით გააგრძელო მუშაობა, დასასვენებელი სახლები ივლისშიაც არ იქნება მზად.

ღონისძიებები ნიაღვრისაგან ქუჩების დასაცავად

დიდი წვიმისა და ნიაღვარის დროს, თბილისის მთელ რიგ ქუჩებში ფერხდება ნორმალური მოძრაობა, ამასთანავე ნიაღვრების შედეგად ქალაქის ყოველწლიური ზარალი რამოდენიმე ათეულ ათას თანეთს უდრის.

თბილისის საბჭოს სპეციალისტებს დაევალათ ნიაღვართან ბრძოლის საკითხის შესწავლა და სათანადო ღონისძიებების გამოძიება. ნიაღვრისაგან ქუჩების წალეკვა, სპეციალისტების დასკვნით გამოწვეულია იმ გაერთნებით, რომ ქალაქის კანალიზაცია ვერ ატარებს დაგროვილ წვიმის წყალს, რაც იწვევს მის შეგუბებას ქუჩის ზედაპირზე, აქედან გამომდინარე ყველა შედეგებით. იმისათვის, რომ წვიმის წყალი აღარ დაგროვდეს, გადაწყვეტილია ქუჩებში წყლის შეგუბების ადგილებზე მოეწყოს წყლის სპეციალური გადასაშვებები, რომლებიც წყალს უშუალოდ მდინარე მტკვარში, ან კანალიზაციის მაგისტრალურ კოლექტორში გადაუშვებენ.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა მოიწონა წარმოდგენილი ღონისძიებები და გადასდო 40 600 მანეთი ნიაღვართან საბრძოლველი პირველი რიგის სამუშაოების შესასრულებლად. ეს თანხა გამოყენებული იქნება მიმდინარე წლის განმავლობაში და მთელ რიგ ქუჩებში ეხლავე უნდა იქნეს დაწყებული წყალგადასაშვებების მოწყობა. მომავალ წელს ამავე ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად, გათვალისწინებულია 245.200 მანეთის დახარჯვა.

ქალაქი უზრუნველყოფილი იქნება ხელოვნური და მინერალური წყლებით

რაველს ტეხნიკუმებში არ არის დაყენებული ისე, როგორც ამას მოითხოვს პარტია და ხელისუფლება.

მეორე და მესამე კვარტალის განმავლობაში, ე. ი. ზაფხულის პერიოდში თბილისს დასჭირდება 12 მილიონი ლიტრი ულაყობრივი სამყლეები (ლიმონათი, სიტრო, ბორჯომის წყალი) და ღვინო. სამყლეების აღნიშნული რაოდენობა საკმაო იქნება, როგორც საზაფხულო ბაღების, მუშათა კლუბების, ისე სასადილოებისა და ღია სავაჭრო ქსელის მოსამარაგებლათ.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ყველა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ამზადებენ სამყლეებს დანარჩენი რაოდენობის დამზადება დაეკისრათ — წით. ჯვარს, თბილისის საზკავშირს, ტრესტს, ინვალიდთა კოოპერაციას და სხვადასხვა არტელებს.

სამყლეთა წყლებით მოსახლეობის უზრუნველსაყოფად, გადაწყვეტილია გაფართოებული იქნას სამყლეთა წყლების გასასყიდი ქსელი.

ხელოვნება

რუსთაველის თეატრი მოსკოვში

მოსკოვი, 11 მაისი. მოსკოვში საგასტროლოდ ჩამოვიდა რუსთაველის სახელობის საქართველოს პირველი სახელმწიფო დრამატიული თეატრი სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით. წარმოდგენები დაიწყება 20 მაისს მოსკოვის ერთ-ერთ საუკეთესო გახანგრძლივებულ სახლში თეატრში. ქართველი მსახიობები დასდგამენ 32 წარმოდგენას, მათ შორის 30 უკვე შესყიდულია პროფორგანიზაციების მიერ მოსკოვის მუშა-მოსამსახურეებისათვის. რუსთაველის თეატრი დასდგამს წარმოდგენებს — „ლამარა“-ს, „ანზორ“-ს, „თეთრულებ“-ს და შილერის „ყაჩაღებს“. ვახტანგოვის თეატრში წარმოდგენებთან ერთად საგასტროლო გამსვლელი ბრიგადები ჩაატარებენ მთელ რიგ დადგმებს მოსკოვის ქარხნებსა და ფაბრიკებში.

რუსთაველის თეატრი მოსკოვში დაჰყოფს 26 ივნისამდე და შემდეგ გაემგზავრება ლენინგრადში, სადაც ჩაატარებს წარმოდგენებს მიხაილოვსკის თეატრის შენობაში 25 ივლისამდე (ადს).

ვატმან იოსელიანს დახვრეტა შეეცვალა 10 წლის პატიმრობით

საქართველოს უზენაეს სასამართლოს პლენუმმა ზედამხედველობის წესით განიხილა ვატმან იოსელიანის საქმე, რომელსაც სასამართლომ 26 აპრილს ელბაქიძის დაღმართზე მომხდარ ტრამვაის კატასტროფის გამო, მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი დახვრეტა.

უზენაეს სასამართლოს პლენუმმა დაარღვია სასამართლოს გადაწყვეტილება და ბრალდებულს უმაღლესი სასჯელი შეუცვალა ათი წლის პატიმრობით.

ფეხბურთი

საჭალაქო პირველობის გათამაშება

12 მაისს ლენინის სახელობის სტადიონზე დაიწყოსაქალაქო პირველობის გათამაშება ფეხბურთში, გათამაშებაში მონაწილეობას იღებს ოთხი უწყება: „დინამო“, პროფკავშირები, კოოპკრაცია და უმაღლესი სასწავლებლები. ყველა ისინი წარმოდგენილ არიან ორ-ორი გუნდით.

გათამაშების პირველ დღეს გაიმართა ორი შეჯახება პირველ მატჩში ერთმანეთის შეხვდნენ თბილისის საბჭოს და ენერგეტიკული ინსტიტუტის გუნდები. შეჯახებება დაიწყო 6 საათზე საღამოს.

ძალზე საინტერესო გამოდგა მეორე მატჩი თბილისის საბჭოს გუნდი ენერგეტიკული ინსტიტუტის გუნდს ორ წუთში გაუსწრო, ქუჩაში ბურთი ენერგეტიკელებმა ისევ გაიტანეს, მაგრამ ამ დროისათვის ბურთი გაიელის სტუდენტების გუნდის კარებში.

თამაში კიდევ უფრო ცხოველდება და ზოგჯერ ხუთშაბაშიც გადადის, ორივე მხარეს ბრძოლა ტაიმის ბოლომდე აღარ ანელებს ერთმანეთის კარებს შეუქმნეს არეულობები და ბურთი გაიელის სტუდენტების გუნდის კარებში.

თამაში კიდევ უფრო ცხოველდება და ზოგჯერ ხუთშაბაშიც გადადის, ორივე მხარეს ბრძოლა ტაიმის ბოლომდე აღარ ანელებს ერთმანეთის კარებს შეუქმნეს არეულობები და ბურთი გაიელის სტუდენტების გუნდის კარებში.

ამინდის მიმოხილვა საქართველოში

გასული დღე-ღამის განმავლობაში

დასავლეთ საქართველოში იდგა უმეტესად მშრალი ამინდი ცვალებადი მოღრუბლულობით, 13 მაისს, დილით, ანასეულის და ბათომის რაიონებში დაიწყო მცირე წვიმა, სანაპიროზე ღამით აღინიშნულის ჯანლი, ტემპერატურა დღისით სანაპირო რაიონებში +14 გრ-დან (ფოთი) +20 გრ-დე (სოხუმი); დანარჩენ რაიონებში + 19 გრ.-დან (ოზურგეთი) +26 გრ-მდე (წიფა); ღამით +11 გრ.-დან (ოზურგეთი) +16 გრ.-მდე (ქუთაისი).

აღმოსავლეთ საქართველოში იყო ცვალებადი მოღრუბლულობა; აბასთუმანის, ლიბანის, ახალქალაქის და ახმეტას რაიონებში გადაიცა ელჭექის ხასიათის მცირე გარდამავალი წვიმა; დანარჩენ რაიონებში სიმშრალე, ტემპერატურა დღისით მაღალ-მთიან რაიონებში +3 გრ-დან +18 გრ-მდე, ბარის რაიონებში +21 გრ-დან +28 გრ-მდე (ბორჯომი, მუხრაანი, თბილისი), ღამით +10 გრ-დან (ახალციხე) +16 გრ-მდე (თბილისი, ლაგოდეხი), მაღალ მთიან რაიონებში ტემპერატურა დაიწია + 5 გრ-მდე, ლაბანის რაიონში საღამოს აღნიშნულია ძლიერი სამხრეთის ქარი.

მდინარეების დონეთა მდგომარეობა საქართველოში 13 მაისს

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეთა დონეს ეტყობა უმნიშვნელო ცვლილება, თბილისში მდინარე მტკვრის დონე უდრიდა 208 სტ., დღის 2 საათზე.

ა.ა. ჰ.მ.ს. ამინდის ინსტიტუტი.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება № 19

საქ. შრომის სახ. კომისარიატისა

1933 წ. აპრილის 30

სამეურნეო ორგანიზაციების მიერ 1933 წ. დამუშავება - აღების კამპანიის ჩატარების დროს დამატებითი საჰიერო მუშა-ხელზე განსახადების წარმოდგენის წესის შესახებ

მიუხედავად არსებულ დადგენილებისა დგინონ ადგილობრივ შრომსახკომის რუბუსასოფლო-სამეურნეო კამპანიების საჭირო ნებულების სამმართველოებს კუთვნილებაში მუშა-ხელით უზრუნველყოფის მიზნით სამეურნეო ორგანიზაციების მიერ შრომის ორგანოებში განაცხადების დროულად წარდგენის შესახებ, ხშირად სამეურნეო ორგანიზაციები ან სრულიად არ ადგენენ განაცხადებს შრომის ორგანოებში ან და ადგენენ ასეთს ძლიერ დაგვიანებით, რაც ხელს უშლის კამპანიის დროულად მუშა-ხელით უზრუნველყოფას საქმეს.

რათა 1933 წელში დამუშავება-აღების მომდინარე კამპანია უზრუნველყოფილი იქნეს დამატებითი საჭირო მუშა-ძალით საქ. შრომის სახ. კომისარიატი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე საკავშირო, ფედერატიულ, რესპუბლიკურ და ადგილობრივ მნიშვნელობის ყველა უწყება-ორგანიზაციებს, რომელთაც მომდინარე 1933 წ. დამუშავება-აღების პერიოდში ესაჭიროებათ დამატებითი მუშა-ხელი, ორი დეკადის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, წარმოუდგინონ საქ. შრომის სახკომისარიატის კადრების სექტორს სათანადო განაცხადები აოსებულ ფორმების მიხედვით.

2. იმ სამეურნეო ობიექტებზე, რომელნიც იმყოფებიან ავტონომიურ რესპუბლიკებში, უწყებები და ორგანიზაციები ვალდებული არიან ასეთი განაცხადებისა წარუდგინონ შესაბამისად ავტონომიურ რესპუბლიკების შრომსახკომებს.

3. წინადადება ეძლევა საქ. შრ. სახკომისარიატებს და ორგანიზაციის პარტ-სწავლების ქსელის პროპაგანდისტებს. საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კულტპროპაგანყოფილებას წინადადება ეძლევა აღნიშნულ დღეებში დაეწყონ მეცადინეობის უკლებლივ და თავის დროზე. საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტი უკანასკნელად აფრთხილებს ქვემოთ დასახელებულ უწყებების მდივნებს მეცადინეობაზე არასისტემატიური დასწრებისათვის: მაჭარაშვილი, აივაზოვი, ტატულოვი, ონასარიძე, ცოტაძე, ვაშაძე, გარსევანიშვილი, კომახიძე, ბახტაძე, ბაკურაშვილი, მელიქიშვილი, ჯაფარიძე, ლეკიშვილი, ლეკვეიშვილი, ჯოხაძე, კოხრაშვილი, მგალობლიშვილი, ბაკურაძე, ლომთათიძე, ქერესელიძე, ქარანაძე, მიქირტუმოვი, ვეპხრაძე, იოანესიანი, გაბრიელოკი, სარიმო, ბოხუა, მირზოევი, ნადირაშვილი, ჯალიაშვილი, გოგუა, გაბრიაძე, აბაზოვი, ბარისეგოვი.

—:—

ყველა რაიკომების კულტპროპაგანყოფილებებს და თბილისის ოლქკომის პარტ-სწავლების ქსელის პროპაგანდისტებს. საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კულტპროპაგანყოფილება წინადადებას აძლევს პარტ-სწავლების მორიგ დღეს 21 მაისს, პარტ-განათლების მთელ ქსელში დამუშავებულ იქნას თემა: „მეორე ხუთწლედის სესხი“ — მიმდინ. პოლიტიკის წრეებში სპეციალურ მეცადინეობაზე, ხოლო დაწყებითი და საკადიდატო სკოლებში უნდა დაუკავშირდეს პროგრამის მიმდინარე თემას. თბილისის კომიტეტის კულტპროპაგანყოფილება სემინარების ხელმძღვანელობით ამბობენ „მეორე ხუთწლედის სესხის“ თემის დასამუშავებლად ლექციების ციკლს. ლექციების ციკლის მოწყობა ნაკისრი აქვს ოლქკომის პროპაგანდისტ ამხ. ტუტუნაშვილს. ლექციების ციკლის პირველი ლექცია ჩატარდება 16 მაისს საღამოს 7 საათზე ამხ. ტუტუნაშვილის მიერ.

—:—

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სარაიონო კომიტეტებს და ორგანიზაციის პარტ-სწავლების ქსელის პროპაგანდისტებს. საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კულტპროპაგანყოფილება წინადადებას აძლევს პარტ-სწავლების მორიგ დღეს 21 მაისს, პარტ-განათლების მთელ ქსელში დამუშავებულ იქნას თემა: „მეორე ხუთწლედის სესხი“ — მიმდინ. პოლიტიკის წრეებში სპეციალურ მეცადინეობაზე, ხოლო დაწყებითი და საკადიდატო სკოლებში უნდა დაუკავშირდეს პროგრამის მიმდინარე თემას. თბილისის კომიტეტის კულტპროპაგანყოფილება სემინარების ხელმძღვანელობით ამბობენ „მეორე ხუთწლედის სესხის“ თემის დასამუშავებლად ლექციების ციკლს. ლექციების ციკლის მოწყობა ნაკისრი აქვს ოლქკომის პროპაგანდისტ ამხ. ტუტუნაშვილს. ლექციების ციკლის პირველი ლექცია ჩატარდება 16 მაისს საღამოს 7 საათზე ამხ. ტუტუნაშვილის მიერ.

—:—

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სარაიონო - საინსტრუქტორო განყოფილება აუწყებს უჯრედების მდივნების კურსების მსმენელებს, რომ კურსების მეცადინეობა მთავრდება მაისში. კურსების მორიგი მეცადინეობა ჩატარდება 16, 23 და 31 მაისს. კურსების ყველა მსმენელებს წინადადება ეძლევათ აღნიშნულ დღეებში დაესწრონ მეცადინეობას უკლებლივ და თავის დროზე. საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტი უკანასკნელად აფრთხილებს ქვემოთ დასახელებულ უჯრედების მდივნებს მეცადინეობაზე არასისტემატიური დასწრებისათვის: მაჭარაშვილი, აივაზოვი, ტატულოვი, ონასარიძე, ცოტაძე, ვაშაძე, გარსევანიშვილი, კომახიძე, ბახტაძე, ბაკურაშვილი, მელიქიშვილი, ჯაფარიძე, ლეკიშვილი, ლეკვეიშვილი, ჯოხაძე, კოხრაშვილი, მგალობლიშვილი, ბაკურაძე, ლომთათიძე, ქერესელიძე, ქარანაძე, მიქირტუმოვი, ვეპხრაძე, იოანესიანი, გაბრიელოკი, სარიმო, ბოხუა, მირზოევი, ნადირაშვილი, ჯალიაშვილი, გოგუა, გაბრიაძე, აბაზოვი, ბარისეგოვი.

კარტოუჩი და საბჭოთა კანონმდებლობა

ტეხნიკუმების მუშაობის შესახებ მოწვეულ პარტთათბირის გამო ლება დანიშნულია დღეს 14 მაისს, ს ა ღ ა მ ს 7 საათზე. განათლების მუშაკთა სახლში (ფურცელაძის ქ. № 8) თათბირზე გამოწვეული ყველა ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

საქ. კ. პ. (ბ) თბ. კომიტეტი.

დღეს, 14 მაისს, საღამოს 6 საათზე, გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქცია იწვევს დამკვრელ

მუშკორთა საქალაქო შეკრებას

ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე.

შეკრება შესდგება „კომუნისტი“-ს რედაქციის ბინაზე (რუსთ. პრ. 16).

„კომუნისტი“-ს დამკვრ. მუშკორთა ბრიგადების სექტორი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული

სათბოგ საქმეთა კომიტეტი

აუწყებს ავტო-ვოტო მეურნეობისათვის ბენზინისა მომხმარებელ ყველა ორგანიზაციას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, რომ შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1933 წ. აპრილის 17-ის თარიღისა და 352 №-ის დადგენილების თანახმად, უნდა წარუდგინონ საქ. საგზაო ტრანსპორტის სამმართველოს (თბილისი, მაჩაბლის ქუჩა № 8 ან მის ადგილობრივ ორგანოებს) არა უგვიანეს ა-წ. მაისის 25-სა განაცხადები მათთვის საბჭირო ბენზინზე შემდეგი ფორმით:

ორგანიზაციების საბენზინე სადგურის დასახელება.	მანქანების მფლობელის რაიონი.	მანქანების ტიპი: სატვირთო, ავტომანქანა, ავტობუსი, მოტოციკლეტი.	მანქანების რაოდენობა	მანქანების მარკის მიხედვით.	მანქანების ყოველდღიური საშუალო სვლის რიცხვი; სატვირთო მანქანის ტვირთამწეობა.	მანქანების გამოშვების ყოველდღიური საათი.	საბენზინო ტალონების ყოველდღიური მოთხოვნილება.	ბენზინის ნორმა ერთ ტალონზე.	ერთდროულად საწვავი ბენზინის რაოდენობა, რომლის გადაზიდვის უფლება ეძლევა მანქანის მფლობელს.	შენიშვნა.
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11

ის ორგანიზაცია, რომელიც არ წარმოადგენს საბირო განაცხადს ა-წ. მაისის 25, მოისხნება ბენზინით მომარაგებისაგან.

შენიშვნა 1. საცხები მასალა გამოიანგარიშება საგზაო ტრანსპორტის ცენტრალური სამმართველოს არსებული ნორმების მიხედვით.

შენიშვნა 2. ბენზინის მოთხოვნილების ზედმიწევნით გამოსაანგარიშებლად ორგანიზაციები მოვალენი არიან წარადგინონ საქ. საგზაო ტრანსპორტის სამმართველოში ყოველთვე ზემოაღნიშნული ფორმით არა უგვიანეს ყოველი თვის 25 რიცხვისა დაზუსტებული განაცხადი შემდეგ თვისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სათბოგ საქმეთა კომიტეტი. ნ. 25

საქ. შრომის სახკომისარიატის ფსიქოტეხნიკური ლაბორატორია აცხადებს, რომ

ფოტოგრაფების ფსიქოტეხნიკური შემოწმება

განახლდება ა-წ. 19 მაისიდან.

ძერჟინსკის ქ. № 22. 216

ექ. ლ. ა. ფაღავა

შარდ-სასქესო, სიფილისი, ვენერიული და კანის მიღ. საღ. 7-9 ს. ქ. ცეტკინის ქ. № 148 (რ/გზის დირექციის ახლოს) 13—1

საბჭოთა ხელოვნების თეატრი

14 მაისი	15 მაისი	16 მაისი
8 აბონ. 9 წარ.	7 აბონ. 9 წარ.	6 აბონ. 9 წარ.
ხატიჯე	ო ტ ე ლ ო	ჯოი სტრიტ

დასაწყისი სრულ 8 ნახ. საათზე. ნ. 1

საბჭოთა ხელოვნების კინო-თეატრები:

6	ოქტომბერი ხმოვ.კინო 6-30, 8, 9-30, 11	ხმოვანი მხატვ. ფილმი სიცოცხლე პროგრამის გარეშე სკვ. № 7
7	დამკვრელი 6, 7-30, 9, 10-30	2-რე სერია ბამი სიცოცხლე პრ. გარ.—პაროლი—ნაფთის ჩასხმა.
8	დარბაზი 6, 7-40, 9-15, 11	ნატა ვაჩნაძე, იმედაშვილი ამოკი პროგრამის გარეშე სკვ. № 10
9	რ. ლიუქსემბურგის 6-30, 8, 9-30, 11	მხ. ფილ. მექსიკელი დიპლომატები პროგ. გარ.—სახკინმრეწვის ყურ. № 4
10	სპარტაკი კომინტ. ჯ. 5 6-30, 8 9-30, 11